

ს ი ა ნ ბ ი



№ 16 თბილისი აგვისტო 1951 წ.

გამომცემლობა „კომუნისტი“ წელი XXVIII | ფასი 2 კგნ |

საბჭოთა კავშირი



სარეზერვუარო
ჩაი

სარეზერვუარო
ჩაი

სარეზერვუარო
ჩაი

სარეზერვუარო
ჩაი

სარეზერვუარო
ჩაი

სარეზერვუარო
ჩაი

სარეზერვუარო
ჩაი

სარეზერვუარო
ჩაი

სარეზერვუარო
ჩაი

სარეზერვუარო
ჩაი

სარეზერვუარო
ჩაი



მოდის ქართული ავტომობილი!
ირგვლივ ბარაჰით სავსე მთებია,
ისმის სიღღრამე სმეაწყოებილი,
უსხვი მოსაგლის დროებით სვდებიან!

ნახ. გ. ლომიძისა

საბჭოთა კავშირი



— მე შენ გიჩვენებ, თუ როგორ უნდა შეიარაღება! —
თქვა ერთხელ ამერიკელმა ძიამ...



და მალე მართლაც აასრულა თავისი სიტუვა...

ჩვენმა მკითხველებმა კარგად იციან რა წინააღმდეგობა წარმოიშვა ინგლისისა და ირანის დიპლომატთა შორის ირანის ნავთის ნაციონალიზაციის გამო.

საკითხის გამწვავების პირველ ეტაპზე, რაკი ინგლისისა და ირანის დიპლომატები ვერაფრით ვერ მორიგდნენ, უოლსტრიტმა ირანში შუამავლად წარგზავნა თავისი წარმომადგენელი ავერელ ჰარიმანი.

ირანში ჰარიმანის ჩასვლისთანავე ადგილობრივმა მოსახლეობამ მძლავრი დემონსტრაცია მოაწყო ამერიკის იმპერიალიზმის მიერ წარმოგზავნილის წინააღმდეგ. როგორც „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ თეირანელი კორესპონდენტი იტყობინება, ირანის ხელისუფალნი ცდილობდნენ ჰარიმანის დამშვიდებას, არწმუნებდნენ, რომ ამ დემონსტრაციას ჰარიმანის პიროვნებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. მაგრამ დამშვიდებულ ჰარიმანს უბრალო პასუხი გაუცია: „მე შეჩვეული ვახლავართ ასეთ რამეებს, სადაც კი ჩავდივარ, ყველგან ასე ხდება ხოლმეო...“

სწორედ ამაზე იტყვიან: „სიმართლე ცრუპენტელასაც დაეჯერებაო...“

ამერიკული ცხოვრების მაგალითი

ამერიკის დაქირავებული კალმონები ხუთი სიტყვიდან ოთხს მაინც ამერიკული ცხოვრების მაგალითზე ხარჯავენ. იმდენად ყბად აიღეს „ამერიკული ცხოვრების მაგალითი“, რომ ლამის არის საკუთარი ნატრაბახევი თვითონვე დაიჯერონ. უამრავი მაგალითი მოყავთ „ცხოვრების მაგალითზე“ და გაიძახიან, რომ... თუმცა, ჯობია, ისევ მაგალითს გადავხედოთ. ამერიკული ჟურნალი „მარტ ოფ ლეიბორი“ წერს:

„ერთი უოლსტრიტელი და ვაშინგტონელი საქმოსანის ცოლმა, ამას წინათ, თავის პუდელისათვის შეუკვეთა საყელური, მოჭედილი ათი ათას დოლარად ღირებულ ბრილიანტებით...“

მაგრამ:

„ნიუ ჯერსის შტატის ტრენტონის მცხოვრების ბრაუნის ოჯახს ძალა არ შესწევს იყიდოს ხორცი და ბოსტნეული. თითქმის წელიწადია, რაც ბრაუნის ოჯახს არ შეუძენია ტანსაცმელი, რადგან როლანდ ბრაუნს კვირაში მხოლოდ 55 დოლარი მოაქვს სახლში...“

ესეც ამერიკული ცხოვრების მაგალითი. აი, თურმე, ვისი კისრიდან ყოფილა ამოდებული ის სიმდიდრე, რომელიც პუდელის კისერზეა მოთავსებული!

წინდაუხედავი მიმართაში

როგორც ჟურნალი „ნოვოე ვრემია“ იტყობინება, „შერთებული შტატების სამხედრო მინისტრმა ივლისის ბოლოს თანამდებობიდან მოხსნა დეტროიტის არსენალისა და მოტომექანიზაციის საარმიო ცენტრის უფროსი, ვინმე ბრიგადის გენერალი კროუფორდი, იმის გამო, რომ იგი ქრთამებს ღებულობდა იმ ფირმებისაგან, რომლებსაც უჩარხავდა ხელსაყრელ სამხედრო შეკვეთებს.“


იქვე ვტყობილობთ, რომ გენერალი კროუფორდი განაწყენებული დარჩენილა და იუნაიტედ პრესის კორესპონდენტისთვის განუცხადებია:

— ისეთი არაფერი მიქნია, რასაც ჩემს ადგილზე სხვები არ იზამდნენ. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ მე ამ საქმეზე დამიჭირეს...


გენერალ კროუფორდის სიტყვების სიმართლეში ექვი არავის ეპარება, მაგრამ როგორ მოტყუვდა და დაუფიქრებლობის მსხვერპლი როგორ გახდა ასე გათვითცნობიერებული კაცი. რატომ ვერ მოისაზრა, რომ სამხედრო პირმა ყოველგვარი საქმიანობა უფროსებს უნდა შეუთანხმოს!

უნჯანის ზივირი

მთელი ეზოს შუაგულში
ვდგავარ, როგორც აყდაყუდა,
ყველა მოდის ამ სიციხეში,
ვისაც ცივი წყალი უნდა,



მოუშვებს და აღარ მკვებავს,
მე კი წყალს ვლერი უმიზეზოდ,
ყვიღგან ჭოჭი დავაყენე,
ატადახდა მთელი ეზო.



ვფიქრობ, მაგრამ ვერ მიმხვდარვარ
რატომ ხდება ასე, ნეტავ?
წყალს შესვამთ და ძირსაც აქცევთ,
რად არ მკვებავთ? რად არ მკვებავთ?

ტბად ქცეული მიწა აყვირის:
„კმარა რაც რომ დამასვედეთ!“
მეც ბანს ვაძღვე: „ვინ ხართ, ხალხო,
დამკვებეთ და დამასვენეთ!“

ი. გრიშაუფილი,



ქართული მეუბნებები

— ბევრი კარგი მეთოდი გადავიღეთ დონელი მეუბნებებისაგან... კინოს გადაღება კი ვერ მოხერხდა.

— ეჰ, ჩვენ ბიჭებზე რომ იყოს დამოკიდებული, კინოსაც გადავიღებდით...



ვინ იფიქრებდა, რომ მცხუნვარე მზე, რომელიც თბილისელებს მოსახარშადაც კი იმეტებს, აქვე ორიოდ ფეხის ნაბიჯზე ისეთ ჯამბაზობას დაიწყებდა, რომ რაც ულტრაიისფერი სხივები გააჩნდა, ყველას წყნეთის თავზე ჩამოაფრქვევდა და მტვერში გახვეულ სოფელს ფულის მახედ გადააქცევდა.

აქ რომ ცოტად თუ ბევრად რიგინი ოთახი ორი თვით იქირაო, თბილისში სახლი უნდა გაყიდო. ტყავის გაძრობის შემდეგაც კი, წყნეთელი ბინის გამქირავებელი ისე გიყურებს, თითქოს მზე გულზე ჰქონდეს ჩამოკიდებული და ბოდის თუ არ მოუხდის, ერთი წუთითაც არ გამოუშვებს შენსკენ სანუკვარ ულტრაიისფერ სხივებს. წყნეთელების გადმოცემით, აქ ოთახის ფანჯარასაც კი არჩევს მზე. იცის სად უნდა შეაფრქვიოს ყველაზე მეტი ულტრა და ვაი მისი ჯიბის ბრალი, ვინც ამ ოთახის დაქირავებას განიზრახავს.

„ტყემალს ტყემლის ფასი აქვსო“, წყნეთური ანდაზაა. მზის მიერ ნულტრალ-ნაკურთხ ოთახს თუ კაცის ჯიბე ვერ მოეპოტინა, აქ სხვა უულტრო-უკურთხი ოთახიც იშოვება. აპრილიდანვე იწყება ცხვარ-ძროხის გამორეკვა გომურებიდან. მათი „სასახლეები“ ნაუცბათევად მოდის წესრიგში და იწყება „შეხეთ, ბატონო, რა ბინას“ ძახილი.

ალბათ, ამის მიზეზია, რომ საღამომოდით, როცა სოფელში ნახირი შემოდის, ძროხები თავჩალუნულები მოიზლანებიან, თითქო სცხენიათო. თვითონ წყნეთელები კი სხვაუკვარ ხსნიან ძროხების დარცხვენის მიზეზს. ყველა მათგანი ხელს სხვისკენ იშვერს და განმარტავს, რომ ძროხის მიერ მოცემული ალალი რძისა და მაწვნის გაწყალება იწვევს პირუტყვის თავჩაქინდრულობას.

წყალზე გამახსენდა: აქ წყლის პრობლემა იმდენად გართულებული იყო,

რომ ოთახის შემდეგ მეორე ადგილი წყლით სპეკულაციას ეჭირა. ისტორიას არ ახსოვს, რომ წყნეთში უწყლობით ვინმე დამბრჩვალყო. წყალს ყველა სვამდა, პირს ყველა იბანდა, სარეცხს რეცხავდა, მაგრამ წყალზე მაინც გაჭირვება იყო. დაღამებიდან გათენებამდე რიგი იდგა და მოცილითა ყაყანი ისმოდა. რახან მოცილები ვახსენეთ, ჯობია ბოლომდე გიამბოთ მათი საქმიანობის შესახებ: წყლის რიგში ერთ დამტვრეულ ვედროს დადგამდა რომელიმე მოცილილი, როგორც კი რიგი მოუწყვდა, საიდანაც გააჩნდა ოციოდ ვედროს და სხვები კი მოწყურებულნი უცლოდნენ საათობით. წაიღებდა ეს მოცილილი ოც ვედრო წყალს და იწყებდა წყლით უწყალო სპეკულაციას. ჰყიდდა რძეში არეულს, ჰყიდდა სუფთა წყალს.

ეს უწყისრიგობა კი იწვევდა აყალ-მაყალს, ვედროების თავში დაშენას და ადგილობრივი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე დომენტი ჩხეიძე ზომებს მხოლოდ იმ მხრივ ღებულობდა, რომ როცა სეირის ყურება მოწყინდებოდა, წყალს დაკეტავდა და „დამნაშავეებს“ მშრალზე დატოვებდა... ეს იყო ზაფხულში.

... მაგრამ ზაფხული მიიწურა და წყნეთში ნატახტარი მოვიდა! ცივი წყალი განუზომლად მოჩხრიალებს მილში და წყნეთელმა მოაგარაკე-მეუღაბნოებმა სული მოითქვეს. ამეამად აქაური უსაქმურები ნამდვილად უსაქმოდ დარჩნენ, საქორიკანოდ თავმოსაყრელი ადგილი დაკარგეს.

უსაქმურებზე იმდენი ვილაპარაკე, რომ მკითხველს შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, თითქოს ამ სოფელში მხოლოდ სპეკულანტები და თაღლითები ცხოვრობდნენ. ჩემი წერილის მიზანი რომ ნაკლის მხილება არ იყოს, მე გიამბობდით იმის შესახებ,

თუ წყნეთში, საკოლმეურნეო სოფელში, მოწინავე კოლმეურნეები როგორი თავგამოდებით იბრძოდნენ უხვი მოსავლის აღებისათვის.


მაგრამ ეს დაღები, სასიხარულო მოვლენები ჩვენში იმდენად ნიშანდობლივია, რომ მკითხველს შეიძლება კიდევაც ეთქვა „დიდი რამე გამოუცვნიო“ და ამიტომ მეც კვლავ „გამოსაცნობს“ დაუბრუნდები.

წყნეთს ერთი პატარა ბაზარი აქვს. ეს ის ბაზარია, სადაც ფასები მყიდველ-დამსვენებლებზე უფრო მსუქნად და ამაყად გამოიყურება. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ აქ ალბ-მიცემობა უმთავრესად სპეკულანტების ხელმძღვანელობით წარმოებს. ადგილობრივი სავაჭრო ორგანიზაციები თავს სრულიად არ იწუხებენ ამ ბაზარზე პროდუქტების გამოტანით. თავი თუ შეიწუხეს, მაშინაც... თუმცა, ჯობია კონკრეტულად ვთქვათ.

ამას წინათ საკოლმეურნეო ბაზრების სამმართველოს უფროსმა ამხ. კეკელმა ამ ბაზარზე გამოტანილი პამიდორი დააფასებინა. ფასმა დააეჭვა. პამიდორი კურორტვაჭრობისა გამოდგა, ცხრააბაზიანი სამ მანეთად იყიდებოდა. ამხ. კეკელის დიდად გაანაწყენა ამ შემთხვევამ. თავის თანამშრომელს უბრძანა სასწრაფოდ შეედგინა ოქმი. შეიქნა ფორიაქი. ოქმის შედგენისა აღარაფერი ვიცით, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ფასის დამახინჯება დამახინჯებად დარჩა, ოქმის შემდგენელი სხვა ოქმების შემდგენელად, კურორტვაჭრობის თანამშრომელი კვლავ თანამშრომლად და ამხ. კეკელის კი... მოველით რას გვეტყვის აღნიშნული შემთხვევის შესახებ.

ასეა თუ ისე, წყნეთი თბილისის ახლოს მდებარე ულტრაიისფერსხივებული დასასვენებელი ადგილია, ბავშვებისთვის საუკეთესო აგარაკი. თბილისიდან წყნეთამდე დღეში სამჯერ მიდის და მოდის ავტოტრანსის ავტობუსი. მგზავრებს ჩუმად და პატიოსნად ემსახურება. მაგრამ ეს მხოლოდ განსაზღვრულ საათებში ხდება და რა უნდა ჰქნას იმ მგზავრმა, რომელიც ცდის გუნებაზე არ არის? გულს ნუ გაიტეხს, წყნეთში მოხალტურე მანქანა და შოფერი უფრო მეტია, ვიდრე ბუზი. თავისუფლად დაჰქრიან ფულის შოვნას მოწყურებული შოფერები.





სამსახური შეთხვევა

— ექსკურსიაზე წასვლა ვისაც გსურთ ჩაეწერეთ კულტ-მუშაკთან, — გამოაცხადეს სანატორიუმში.

ავდექი და ჩავეწერე.

ექსკურსიის მონაწილეებს აზრი დაგვებადა სურსათი წაგველო და პიკნიკი გაგვემართა. მეორე დღეს, მანქანაში რომ ჩავჯექით, სურსათ-სანოვაგემ ორი-სამი კაცი ადგილი დაიკავა.

სიცილით, სიმღერით მივდიოდით. ორმოცი კილომეტრი ისე გავიარეთ, რომ არცკი შეგვიმჩნევია. დავათვალიერეთ რაც დასათვალიერებელი იყო, გადავიღეთ სურათები და მოვაწყეთ ბჭობა: სად მოეწყოს პიკნიკი?

— აქ, ახლოს, ტყვა. პატარა მდინარეც ჩაუდის, იქ აჯობებს! — თქვა კულტმუშაკმა.

შევუხვიეთ ტყისკენ, შევარჩიეთ ადგილი და დავიწყეთ სუფრის გაშლა.

— მე სამწვადე წამოვიღე, — თქვა ერთმა. — მაგრამ აქ რომ ცეცხლი დავანთოთ საშიშია. ხმელი ნაყარი ბევრია და ვაითუ ცეცხლი მოედოს ტყეს.

— გავეწმინდოთ ნიადაგი, — უთხრა მეორემ. — ხელდახელ ავაგოთ კარავი და შიგ დავამზადოთ საქმელი, ქარის მიმართულებით ნეშოს კედელი გავუკეთოთ!

— ჩინებული აზრია, — დაუმატა მესამემ. — მე, როგორც ინჟინერი, ვაშენებ კარავს!

— მე კი, როგორც მუშა-მეტყვევე, მოვიტან ნეშოს, — ღიმილით დაუმატა მეოთხემ.

— იცით რა გითხრათ? — ჩაერია ლაპარაკში მეხუთე. — რაკი ასეა, ყველამ თავისი პროფესიის მიხედვით იმუშაოს: — ინჟინერმა კარავი ააგოს, მზარეულმა მწვადი შეწყვას, მეტყვევემ საშენი მასალა მოგვაწოდოს, ახალგაზრდებმა წყალი ამოიტანონ, ეჭიმმა ქალებმა გული გაგვისინჯონ, თუ მსახიობი გვირევიან, გვიმღეროს ან კულტურული გართობა მოგვიწყოს. თუ ლექტორი აღმოჩნდება ჩვენ შორის...

— აპაპა! მოხსენება და ლექცია არ გვინდა! არ გვინდა! — დასძახეს ერთხმად.

— ერთი სიტყვით, — განაგრძობდა ის მენუთე, — ყველამ თავისი პროფესიის მიხედვით მიიღოს მონაწილეობა საერთო პიკნიკის გამზადებაში. ვინც რეალურ მონაწილეობას არ მიიღებს, დარჩეს უსადილოდ.

ეს აზრი ყველას მოგვეწონა. უნდა ითქვას, რომ ზოგი ჩვენგანი ერთმანეთს პირველად ხედავდა და ეს წინადადება იმიტომაც იყო საინტერესო, რომ ერთმანეთს გაგვაცნობდა.

დავიწყეთ მუშაობა.

ორმა-სამმა ამხანაგმა ადგილის მოსუფთავება დაიწყეს.

ერთმა ნაყარში ჭიკოები შეარჩია, გაწმენდილ ადგილას ოთხი ბოძი ჩაარქო და როცა ნეშო მოიტანეს, კარავი დახურა და ორი კედელიც გაუკეთა ქარის მიმართულებით.

ერთმა ჩასუქებულმა ამხანაგმა, რომელსაც შევიტის კოსტიუმი ეცვა, პიჯაკი გაიხადა, ხელები დაიმკლავა და ხორცის ქრას შეუდგა. თან ახალგაზრდებს გადმოსძახა: აბა, ჩადრთ ხევში, წყალი ამომიტანეთო.

— მე კი ვატყობ, რომ ვერაფრით დავებმარებთ! — თქვა ერთმა ხანშიშესულმა. — ცუდად ვგრძნობ თავს. მგონი დამსიცხა.

— ნუ გეშინიათ, მეგობარო! მე ასეთ შემთხვევისათვის თან დამაქვს ჩემი ჩანთა. ახლავე მოგარჩენ, — უთხრა დასიცხულს სათვალეებიანმა ქალმა... და ჩანთიდან წამლები ამოალავა...

„ავადმყოფი“ წამლის დანახვამ უცებ მოარჩინა, სიცილით გაშორდა ექიმს და ფიჩხის მოტანას შეუდგა.

— ჩვენც უნდა შევიტანოთ საერთო საქმეში ჩვენი წვლილი. — თქვეს დანარჩენებმა. — ჩვენც შევასრულებთ პირობას.

და ქალ-ვაჟთა გუნდმა ისეთი სიმღერები შემოსძახა, რომ ჩინებული კონცერტი გაიმართა. ერთი სიტყვით, ყველანი დავფაცურდით. უშრომელი ლუკმის ჭამა არავის სურდა. მხოლოდ ერთი კაცი დადიოდა ჩვენს შორის უსაქმოდ, გვაკვირდებოდა, ყურს გვიგდებდა, ხშირად თავს დააქნევდა, ხშირად ხელს ჩაიქნევდა. ეტყობოდა, არაფერი მოსწონდა ჩვენი წამდაუწუმ გვესმოდა მისი შენიშვნები:

— მწვადს ასე არ წვავენ. უნდა ატრიალოთ შამფური.

— კონსერვის ქილას ჩანჯლით არ ხსნიან. საჭიროა სპეციალური დანა.

— ბოთლი ისე გახსენით, საცობი შიგ არ ჩავარდეს.

— კარავს ოთხი კედელი უნდა ჰქონდეს. ორკედლიანი კარავი დამახასიათებელი არაა.

— სიმღერა სუფრაზე უნდა. თქვენ კი სუფრის გაშლა-მდე მღერით. ეს არაა ტიპური ჩვენი საზოგადოებისათვის...

გვეგონა ხუმრობდა, ყურადღებას არ ვაქცევდით. მაგრამ როცა სუფრა გავშალეთ და ყველამ თავისი ადგილი დავიკავეთ, იმ წუთიან სუფრის თავში დაჯდომა მოინდომა.

— კი მაგრამ, ახლა რომ სუფრის თავში ითხოვთ დაბრძანებას, აქამდე რატომ არ ამეღავენებდით თქვენს პროფესიას, რა ხელობის კაცი ხართ, სიტყვით მაინც გაგვაგებინეთ! — შევეკითხეთ მას თითქმის ერთხმად.

— კრიტიკოსი გახლავართ! — იყო პასუხი, და ჩვენმა ხარხარმა არემარე გააყრუა, გარს შემოვხვიეთ ამ საინტერესო კაცს.

— რა მექნა, — ღიმილით იმართლებდა თავს იგი, — მე პროფესიით არც მეტყვევე, არც ინჟინერი, არც მომღერალი, არც ექიმი და არც ახალგაზრდა არ ვიყავი, რომ ჩემი შრომით დაგხმარებოდით, და ისევ კრიტიკოსობა ვარჩიე...

— იმიტომ გვიწუნებდი მუშაობას?! — თქვა ინჟინერმა, — კრიტიკოსი ხომ უკეთესი მცოდნე უნდა იყოს იმ საქმისა, რასაც აკრიტიკებს! შემცდარხართ, ამხანაგო, და პირობის თანახმად ჩვენი შრომით შექმნილი ბედნიერებაც არ გიკუთვნით!

— სწორია, სწორი! წუწნა კაცი უსადილოდ დავტოვოთ!.. უსადილოდ! — გაისმა აქა-იქ.


ჩვენმა პიკნიკმა შესანიშნავად ჩაიარა. ბევრი ვიმღერეთ, ვიმხიარულეთ... სადილი, რა თქმა უნდა, ჩვენს ახლადგამოჩეკილ „კრიტიკოსსაც“ ვაქამეთ... მას უკვე სწორი შეხედულება ჰქონდა კრიტიკოსის მოვალეობაზე... და ამიტომ აღარ დავსაჯეთ.

გოდონო მორჩილი




— დედიკო, ამდენ ხანს რომ წახახვლეღად მამზადებთ, სკოლაში ვანა როდემდე უნდა დავრჩე? — თერთმეტ წელიწადს, შვილო!..

უოგოროკაგენვი



ისეთი წარწერა მოგვიტანა ჩვენმა ჩიტკორესპონდენტმა, რომ ჩვენი წარწერა აღარ სჭირდება... ნიანგ მხოლოდ სურამის დამკრძალავი ბიუროს წევრთა გვარები სურს შეიტყოს, რათა პატივი სცეს და გამოაქვეყნოს...



„აორთქლები“ გუმბრინა

ყოველგვარი სითხის აორთქლება გაგვიგონია, მაგრამ გუმბრინი რომ აორთქლებულიყოს, ეს პირველად ვნახეთ.

სურამის კირის ქარხნის წარმომადგენელს ზურაბ დავითიანს თბილისში უნდა გამოეგზავნა ერთი ვაგონი კირი. მოხდა ისე, რომ ხაშურიდან სურამში მოსული გუმბრინით დატვირთული ვაგონი სურამის სადგურის უფროსმა თინა ბაცაციამ კირით დატვირთულად ჩათვალა და სათანადო ორთქლმავლის საშუალებით თბილისში უკრა თავი.

საქონლის მიმღებმა კარგა ხანს არკვია ტვირთის შემადგენლობა. შემდეგ კი უცნაური კირის შესახებ აცნობა გზის თბილისის განყოფილების უფროსს ამხ. მეტონიძეს და თბილისის სატვირთო სადგურის უფროსს ბ. ჭყოიძეს. აღნიშნულმა ამხანაგებმა ამ საქმისთვის „ვერ მოიცალეს“ და, როგორც რკინიგზელები ამბობენ, ერთი ვაგონი გუმბრინი, თურმე რამდენიმე დღეში „აორთქლდა“.

მაგრამ გავიდა დრო და სამხრეთ ურალის გზის ტროიციის სადგურიდან ამიერკავკასიის რკინიგზას მოუვიდა მოკითხვის წერილი და იმ 6000 მანეთის ანახლაურების პრეტენზია, რომელიც მათ 1 ვაგონი გუმბრინის საფასურად გადმორიცხეს გასული წლის ზაფხულში.

სრულიადაც არ დარჩნენ ნასიამოვნები ტროიციელების წერილით გზის თბილისის განყოფილების ხელმძღვანელები. რალა 6000 მანეთი ვიხადოთ, გუმბრინის სადგურში გუმბრინი ბლომდაა, დავტვირთოთ ერთი ვაგონი და გავგზავნოთ ტროიციკში, — დაასკვნეს მათ და, რა თქმა უნდა, ასეც მოიქცნენ. სასწრაფოდ აფრინეს გუმბრინის სადგურში ისილორე ბუაჩიძე, რომელმაც სასწრაფოდვე, ისე რომ ტროიციელებს „დროზე“ მისვლოდათ მათთვის ესოდენ საჭირო მასალა, ამა წლის 16 მარტს მოახერხა გაეგზავნა ტროიციკში 1 ვაგონი გუმბრინი.

და თქვენ აქ ძალაუნებურად გაგახსენდებათ ის „აორთქლებული“ ერთი ვაგონი გუმბრინი.

მაგრამ ამბავი რომ უფრო ადვილად გასარკვევი გახდეს, ცუდი არ იქნება, თუ წარსულში გადავიხედავთ. სადგურ გუმბრინში გასული წლის 31 აგვისტოს გუმბრინით დატვირთეს № 467111 ვაგონი და სათანადო საბუთის გაფორმების შემდეგ ტროიციის სადგურის დანიშნულებით გაგზავნეს. ეს ვაგონი ხაშურში ახსნეს და ერთ-ერთ ჩიხში დაასვენეს. ამ დროს ხაშურში შეადგინეს სურამში გასაგზავნი მატარებელი, რომელსაც ბოლოში აუცილებლად მუხრანის ვაგონი უნდა მიხმოდა. ხაშურელებმა საქმის დაყოფნა არ იციან. მათ უცბათ აღმოაჩინეს ჩიხში ჩაყენებული უკვე საკმაოდ დასვენებული ვაგონი; მიაბეს მატარებელს და რამდენიმე წუთში სურამში ამოაყოფინეს თავი. ეს ის ვაგონი გახლდათ, თინა ბაცაციას კირით დატვირთული რომ ეგონა.

შემდეგ კი რა მოხდა, ვფიქრობთ, მკითხველისთვის უკვე გასაგებია. გაუგებარი კი შემდეგი ვარაუდებია: როგორ და ვისი საშუალებით „აორთქლდა“ თბილისის სატვირთო სადგურში ის ერთი ვაგონი გუმბრინი, რომელიც, ტროიციელების პრეტენზიას რომ დავუჯეროთ, რამდენიმე ათასი მანეთი ღირებულა? ტროიციელებმა თავისი გაინაღდეს, რკინიგზელებმა სხვისი, მაგრამ სახელმწიფო 6000 მანეთს ვინ გაანაღდებს?

დ. ჩხარელი, ა. აღმსიძე

უხროსის ჩიკა-ლარიკა

საქართველოს ნორჩ ფეხბურთელთა
გუნდმა მეორედ მოიპოვა სსრ კავშირის
პირველობა და თასი.



— შენც რომ ჩემსავით გებრძოლა, ძია,
თახამდე იქნებ შენც მიგელწია!

ინდაუკაბის აღრიცხვა

ამას წინათ, თერჯოლის რაიონის სოფ. თუზის კოლ-
მეურნეობას რაიცენტრიდან ინსტრუქტორ-ბუხჰალტერი ეწ-
ვია. სტუმარს მეცხოველეობის გეგმის შესრულება აინტე-
რესებდა.

— რამდენი ძროხა გყავთ? — ჰკითხა სტუმარმა ფერმის
გამგეს იოვანე სუთიძეს.

— რამდენი ძროხა, ბატონო? ავერ ჩვენს მონაგარიშე
წიწილაში ვკითხვით, ანგარიშის კაცია, მაგან იცის ზე-
პირად.

წიწილაშილმა თავი ჩაქინდრა და მცირე ღუმილის
შემდეგ წამოიძახა:

— გამახსენდა... ამას წინათ რომ უბატონობით სამი
ხბო მოგვიკვდა, მათი დედებიანათ სულ... ბატონო, ძრო-
ხები ხომ წიწილები არ არის, სადმე ბუჩქში გაიბნენ და ვე-
ლარ ვიპოვით, რა დათვლა უნდა!

— მაშ წიწილების რაოდენობა მაინც მითხარით, — ახ-
ლად იკითხა ინსტრუქტორ-ბუხჰალტერმა.

— წიწილები რა დასათვლელია, ბატონო, — რამდენიც
მოკვდება, ორი იმდენი გამოიჩეკება!

— ინდაურები გეყოლებათ.

— აურაცხელი, ბატონო, იმდენი გეყავს, რომ დათვლას
ვერ აუღივართ.

— მე დავთვლი, ათასზე მეტი ხომ არ გეყოლებათ და
რა ძნელი დასათვლელია!

— ერთად რომ იყვნენ, მეც კი დავთვლიდი, მაგრამ
აქეთ-იქით გვეყავს კოლმეურნეებზე გაბარებული და თავი რა-
ნაირად მოვუყაროთ!

— კი მაგრამ კვერცხებს რომ დებენ, როგორ აგრო-
ვებთ, რანაირად აღრიცხავთ?

— კვერცხებს მგონი არც-კი დებენ, ჰა, რას იტყვი,
იოვანე? — კითხვა ესროლა წიწილაშილმა ფერმის გამგეს.

— არ უნდა დებდნენ... — მიუგო ფერმის გამგემ.

— რატომ, კაცო, რა დაუდებელი დაემართათ? — გაუ-
კვირდა სტუმარს.

— მგონია მამლები უნდა იყვნენ! — „გამოასწორა“ წი-
წილაშილმა.

სასწრაფოდ აფრინეს ბავშვები სოფელში. შეიქნა თვლა-
გამოკითხვა. არაფერი არ გამოვიდა, ბიჭებმა სწორი პასუხი
ვერ მოიტანეს, ინდაურებს თავი ვერ მოუყარეს. ერთად-
ერთი საშუალებადა იყო დარჩენილი — თვითონ ინდაურები-
სათვის უნდა ეკითხათ მათი რაოდენობის შესახებ, მაგრამ
ინდაურები, თურმე, ცუდად ერკვევიან აღრიცხვის საქმეში.

დ. კახია

რედაქტორი კ ა რ ლ ო კ ა ლ ა შ ვ. სარედაქციო კოლეგია: ვრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი,
ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-49.

ბელმოწ. დასაბ. 1951 წ. 6/IX. სტამბა „ზარია ვოსტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შეკ. № 1975. გამოც. № 16. ტირ. 15.000. უმ3694

ტრუმენს რომ ჰკითხო, — თავისუფლება
არის ყოველთვის ოცნება მისი...
სინამდვილე კი სხვას გვეუბნება,
არაა სიტყვის შესაბამისი!

ვხედავთ, რომ ბოროტს ვაუმარჯვნია,
საპატიმროებს აწის უვნებლად,
სდევნის სიმართლეს და მიაჩნია
თავისუფლება თავის უფლებად!

გოგოთურ მიგრიაული

